



**თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 50

2014 წლის 21 ოქტომბერი

**„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 3 აგვისტოს
№5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის და „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილების შესაბამისად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 3 აგვისტოს №5 განკარგულებაში და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

N	თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნობა
1	აპარატის უფროსი - წამყვანი საჯარო თანამდებობა	1
2	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი - უფროსი საჯარო თანამდებობა	1
3	მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი - უფროსი საჯარო თანამდებობა	1
4	საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი - უფროსი საჯარო თანამდებობა	1
5	მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - უფროსი საჯარო თანამდებობა	2
6	საორგანიზაციო განყოფილების სპეციალისტი - უმცროსი საჯარო თანამდებობა	1
7	აპარატის მთავარი სპეციალისტი - იურისტი - უფროსი საჯარო თანამდებობა	1
	ს უ ლ:	8

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი